85
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 34 (267) 10 დეკემბერი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

3. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
4. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლიტვის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
5. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
6. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გვინეის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან დ. დ. დეგტიარის გათავისუფლების შესახებ.
7. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გვინეის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ლ. ვორონინის დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

8. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადმირალ ნ. ნ. ამელკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
9. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. პაპანინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
0. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „მოლოდ უკრაინის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
1. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ ს. რ. კულიჩკოვ-ილაის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

592. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ს. კოროტჩენკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

593. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მომზადების შესახებ.

594. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშროების და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტო-მოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

### განყოფილება მეორე

595. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. გამრეკელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 583 ბელორუსიის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ნოემბერი.

№ 3048-VI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დანართი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1964 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულებისა „ბელორუსიის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო
საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების
ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“
№ 3048-VI.

## ნ უ ს ხ ა

## სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინრო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ, კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1 მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 584 ლიტვის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ნოემბერი.

№ 3049-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულებისა „ლიტვის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“
**№ 3049-VI.**

## ნუსხა

## სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1.სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4.სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინრო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. ის ნაწილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულებისა „ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის დროებითი გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წ., № 46), რომელიც ეხება რსფსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების გამოყენებას.

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

8. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

9. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოხ. 585
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 585 ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ნოემბერი.

№ 3050-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დანართი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულებისა „ტაჯიკეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ № 3050-VI.

## ნ უ ს ხ ა

## სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინრო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ, კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**586 გვინეის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისგან დ. დ. დეგტიარის გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს დიმიტრი დანიელის ძე **დეგტიარი** გვინეის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 ნოემბერი.
№ 3052-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**587 გვინეის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ლ. ვორონინის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ალექსი ლეონიდეს ძე **ვორონინი** გვინეის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 ნოემბერი.
№ 3053-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**588 ადმირალ ნ. ნ. ამელკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ადმირალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ამელკო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 ნოემბერი.
№ 3055-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 589 ამხ. ი. დ. პაპანინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ივანე დიმიტრის ძე **პაპანინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 ნოემბერი.
№ 3056-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 590 გაზეთ „მოლოდ უკრაინის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის აქტიური მუშაობისათვის იმ მიზნით, რომ კომუნისტურად აღზარდა ახალგაზრდობა და დაერაზმა ისინი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაზეთი **„მოლოდ უკრაინი“** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 ნოემბერი.
№ 3057-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 591 პოეტ ს. რ. კულაჩიკოვ-ელაის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პოეტი სერაფიმ რომანოზის ძე **კულაჩიკოვ-ელაი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 28 ნოემბერი.
№ 3059-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 592 ამხ. დ. ს. კოროტჩენკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. დ. ს. კოროტჩენკოს დიდი დამსახურებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. დემიან სერგის ძე **კოროტჩენკოს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 28 ნოემბერი.

№ 3060-VI.

## ნაწილი II

## განყოფილება პირველი

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 593 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მომზადების შესახებ

1965 წლის მარტში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს. დროულად უზრუნველყონ დეპუტატები საცნობარო მასალებით საბჭოების მუშაობის შესახებ და დაეხმარონ მათ საანგარიშო კრებების ჩატარებაში. აღრიცხონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული ყველა საქმიანი წინადადება და მიიღონ ზომები მათ შესასრულებლად. ადგილობრივ პრესაში ფართოდ გააშუქონ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა, დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარება, დეპუტატების მუშაობის გამოცდილება.

უზრუნველყონ თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშების ჩაბარება საბჭოებისა და მოსახლეობისათვის.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების გატარება დებულების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან მიღებული თანხა, აღნიშნული ტრანსპორტის რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით, უნდა დაუბრუნდეს მფლობელს.

ეს ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტომოტოტრანსპორტის იმ-მფლობელის მიმართაც, ვისაც უფლება არა აქვს მართოს ეს ტრანსპორტი, მაგრამ მაინც იყენებს მას მიუხედავად მილიციის ორგანოებისაგან მიღებული წერილობითი გაფრთხილებისა ან სხვა ადმინისტრაციული ზომისა, აგრეთვე იმის მიმართაც, ვინც თავის კუთვნილ ავტომოტოტრანსპორტს გამოსაყენებლად გადასცემს იმ პირს, რომელსაც არა აქვს ამ ტრანსპორტის მართვის უფლება.

3. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ავტომოტოტრანსპორტის ჩამორთმევის შესახებ მასალას გააფორმებენ მილიციის ორგანოები და გადასცემენ რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს.

4. შეტანილ იქნეს დამატებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხლში და 241 მუხლის პირველ ნაწილში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 174. **უკანონოდ მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა**

მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა მოქალაქეთა კუთვნილი ავტომანქანებით, ჩადენილი ანგარებით ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავეს ასეთივე მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სასჯელი დაედო, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ავტომანქანის კონფისკაციით ან უამისოდ ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე".

241 მუხლის პირველი ნაწილი:

„ქალაქის ელექტროტრანსპორტის ან ავტომოტოტრანსპორტის მუშაკის მიერ, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც არ არის ავტომოტოტრანსპორტის მუშაკი, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევა, თუ ეს დარღვევა დამნაშავისათვის წინასწარ შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს და თუ ეს ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავეს ასეთივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული სასჯელი დაედო, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე ან ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორ წლამდე".

5. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ჩაითვალოს ძალადაკარგულად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულება „**მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და [illegible] მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“ და 1961 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულება „არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის ავტომოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 25 ნოემბერი.

9362.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 595 ამხ. ნ. ა. გამრეკელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **გამრეკელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 2 დეკემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიის მუშაობაში, გარდა მისი წევრებისა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეები, მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების წარმომადგენლები, თბილისის კულტურისა და დასვენების პარკების დირექტორები, კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიამ განიხილა საკითხი ქალაქ თბილისის საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და რესპუბლიკაში მისი დანერგვა-განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენება გააკეთა კომისიის წევრმა, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. სიხარულიძემ.

მუდმივი კომისიის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ა. კალანდარიშვილმა, „მთაწმინდის“ კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორმა ს. მელაძემ, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილემ რ. ყლენტმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ე. ღლონტმა, ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. მეგრელიშვილმა, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თბილისის საბჭოს თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ, პირველი მაისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. თევდორაძემ, მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა თ. მოსაშვილმა და გ. ხუნდაძემ.

ორატორებმა ხაზი გაუსვეს ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, გააანალიზეს ამ საქმეში მიღწეული წარმატებანი და ნაკლოვანებანი, დასახეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ მოწინავე გამოცდილება ფართოდ დაინერგოს მთელ რესპუბლიკაში, კერძოდ, მეჩაიეობის რაიონებში.

კომისიის სხდომის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გელბახიანმა.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* * *

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა რესპუბლიკის მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს გეგმის შესრულების, რენტაბელობის საკითხები, აგრეთვე საქართველოში ცენტრალიზებული ავტოგადაზიდვის მოწყობის საკითხი.

პირველ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ი. ხვედელიანმა. კომისიამ გადაწყვიტა საკითხი განსახილველად გადასცეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის და საფეიქრო მრეწველობის სამმართველოების, საქართველოს კონსერვის ტრესტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალიზებული გადაზიდვის მოწყობის შესახებ ილაპარაკა კომისიის წევრმა ვ. ჭავჭანიძემ.

კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ დეპუტატები ვ. ლოლობერიძე, ვ. ებრალიძე, ვ. პაპიაშვილი, ი. ბააკაშვილი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტვირთზიდვის განყოფილების უფროსი გ. ბარგი და სხვები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განხილული საკითხის მასალები გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 887 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 27 |
| ქ. ქუთაისიდან | | 10 |
| ქ. ზუგდიდიდან | | 3 |
| ახალქალაქის | რაიონიდან | 107 |
| ახმეტის | „ | 21 |
| ბოლნისის | „ | 365 |
| გარდაბნის | „ | 144 |
| ზესტაფონის | „ | 70 |
| მარნეულის | „ | 11 |
| მესტიის | „ | 9 |
| ყვარლის | „ | 28 |
| ჩოხატაურის | „ | 6 |
| ცხაკაიას | „ | 4 |
| წალენჯიხის | „ | 31 |
| წულუკიძის | „ | 31 |
| ხაშურის | „ | 20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიმდინარეობს ხელმოწერა**

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე 1965 წლისათვის

**„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქვეყნდება:**

**პირველ ნაწილში (ქართულ ენაზე):**

ა) სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

გ) მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

**მეორე ნაწილში (ქართულ და რუსულ ენებზე):**

ა) საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

## „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“

**გამოდის თვეში სამჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.**

**ხელმოწერის ფასია:**

12 თვით — 2 მანეთი და 50 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 25 კაპ.

**ხელმოწერას მიიღებს:**

„სოიუზპეჩატი“, კავშირგაბმულობის განყოფილებები; კონტორები, სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია"
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

დაიწყო ხელმოწერა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე 1965 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში"

**ქვეყნდება:**

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები"

**გამოდის კვირაში ერთჯერ.**

**ხელმოწერის ფასია:**

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

**ხელმოწერას მიიღებს:**

„სოიუზპეჩატის" საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.